ინფრასტრუქტურის მინისტრმა რეგიონში მიმდინარე პროექტები დაათვალიერა

29 ივნისი 2017

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ზურაბ ალავიძემ შიდა ქართლის გუბერნატორთან, კახა სამხარაძესთან და გუბერნატორის მოადგილესთან, სიმონ გულედანთან ერთად რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი მოინახულა. კერძოდ, მუნიციპალური განვითარების ფონდი ქალაქ გორში ათი მინი მოედნის რეაბილიტაციას ახორციელებს. მინისტრი ადგილზე გაეცნო სამშენებლო სამუშაოებს. ქალაქის 9 დასახლებაში მინი მოედნები დაზიანებული იყო, ხოლო ვერხვების დევნილთა დასახლებაში კი მოედანი არ არსებობდა. ამჟამად სამუშაოებზე 45 ადამიანია დასაქმებული. პროექტს მსოფლიო ბანკი აფინანსებს და მისი ღირებულება მილიონ ლარზე მეტია. მოეწყობა ფრენბურთის, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნები. გაკეთდება ტრიბუნები და გარე განათება. ასევე გათვალისწინებულია სკვერების კეთილმოწყობაც. პროექტი 2017 წლის მაისში დაიწყო და დასრულება ამავე წლის ნოემბერში იგეგმება. ასევე, მინისტრმა ქარელის მუნიციპალიტეტში მოხისი–კოდავარდისუბნის გზის სამშენებლო სამუშაოები მოინახულა. პროექტის ღირებულება მილიონ 300 000–ზე მეტს შეადგენს და 2017 წლის სექტემბერში დასრულდება. ალავიძე აგარა–ზემო ოსიაურის 15 კმ–იანი ჩქაროსნული მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოებსაც გაეცნო. ხელისუფლების წარმომაგენლები მოგვიანებით ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებს გაეცვნენ. ამჟამად ქვემო ოსიაურში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომლისთვისაც 220 958 ლარია გამოყოფილი და მშენებლობა ამ წლის ნოემბერში დასრულდება. მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ქალაქ ხაშურში #7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს. პროექტს მსოფლიო ბანკი აფინანსებს და მისი ღირებულება 753 751 ლარს შეადგენს. მინისტრმა ახლად რეაბილიტირებული სპორტული მინი მოედანიც დაათვალერა, რომელიც რეგიონში განსახორცელებელი პროექტების ფარგლებში რებილიტირდა.